## პროგრამის ფორმა

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 02 02 | სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება | მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 30 139 500 | 33 737 100 | 19 000 000 | 19 000 000 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება |
| პროგრამის აღწერა | მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად. მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელი წარმოადგენს ყველაზე იაფ გადაადგილების საშუალებას, რის გამოც საზოგადოების ფართო მასაა მისი მომხმარებელი. აქედან გამომდინარე, მუნიციალური სატრანსპორტო ქსელის გამართული ფუნქციონირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება. |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | წლიურად გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა | 16 500 000 | 18 000 000 | 18 000 000 | 18 000 000 | 18 000 000 | 5% - მგზავრთა შესაძლო რაოდენობის შემცირება |
| 2 | მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტების რაოდენობა წლების მიხედვით | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 10% -მგზავრთა ნაკადის ცვლილება (+/-) |
| 3 | მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტების ქსელის საერთო სიგრძე (კმ) | 440 | 440 | 440 | 440 | 440 | 10% -მგზავრთა ნაკადის ცვლილება (+/-) |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 02 02 02 | მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება | სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 30 139 500 | 33 737 100 | 19 000 000 | 19 000 000 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის აღწერა | ბათუმის ავტოტრანსპორტი მიმდინარე ეტაპზე უზრუნველყოფს მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით, წლის განმავლობაში კომპანია უზრუნველყოფს საშუალოდ 18 000 000 მგზავრის გადაყვანას, შესაბამისად თვის განმავლობაში კომპანიის მიერ მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურება შეადგენს საშუალოდ 1 500 000 მგზავრთბრუნვას. ამასთან, თვითმმართველობა იღებს ვალდებულებას შეინარჩუნოს მგზავრობის ფიქსირებული მინიმალური საფასური. არსებული ფინანსური გაანგარიშებით, საწარმოს შემოსავლები არ არის საკმარისი მისი შეუფერხებელი მუშაობისათვის. საწვავისა და სათადარიგო ნაწილების ფასის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე, საწარმოს შემოსავლები ხარჯებთან მიმართებაში უარყოფითია. საწარმოს დაფინანსებით მოიხსნება მიმდინარე პერიოდში არსებული პრობლემები, რაც სამომავლოდ აისახება საქალაქო ტრანსპორტის გამართულ და შეუფერხებელ მუშაობაზე. ქვეპროგრამა ითვალისწინებს წლის განმავლობაში, ცალკეული თვეების მიხედვით სატრანსპორტო კომპანიის მიერ წარმოქმნილი საოპერაციო დეფიციტის დაფარვას.<br>ასევე, განხორციელდება შპს ბათუმის ავტოტრანსპორტის კაპიტალის ზრდა მუნიციპალური ავტობუსების შეძენის მიზნით, რომლითაც შეძენილ იქნება (2022-2024 წლებში) 65 ერთეული ავტობუსი |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ეფექტური მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | თვის განმავლობაში მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილებულ მგზავრთა რაოდენობა | 1 500 000 | 1 500 000 | 5% - მგზავრთა შესაძლო რაოდენობის შემცირება |
| 2 | მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტების რაოდენობა | 20 | 20 | 10% - მგზავრთა ნაკადის ცვლილება (+/-) |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა) | თვე | 12 | 1 458 333 | 17 500 000 | 17 500 000 | |
| 2 | შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის" მუნიციპალური ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება (კაპიტალის გაზრდა) | | | | 12 639 500 | 12 639 500 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | 30 139 500 | 30 139 500 | 0 |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სუბსიდიის თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. |
| 2 | მუნიციპალური ავტობუსების შეძენა მრავალწლიანი პროექტია (2022-2024 წ.წ.), რომლის ღირებულება - 32 279 000 ლარია. |